

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ.ვანი თავისუფლების N65

12 მარტი 2019 წელი

13 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე, გია ჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, ბიჭიკო პაიკიძე, პაატა ხურციძე, რობიზონ ფუტყარაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - *ივანე მამფორია*

ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ზვიად კაპანაძე.

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - *მამუკა ნამიჭეიშვილი.*

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1.ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხს: ივანე მამფორია

2.ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წლის განმავლობაში გამოყოფილი თანხების შესახებ.

მომხს: ივანე მამფორია

3.ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. შუამთაში მდებარე უძრავი ნივთის (ს.კ 31.03.30.416) ა(ა)იპ „საბავშო ბალების გაერთიანება“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტით ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხს: ზვიად კაპანაძე

4.ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შესაბამისი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2017 წლის 28 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N38 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7100,0 ათასი ლარის ოდენობით. 2018 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად შემოსულობები დაზუსტდა 13999.4 ათასი ლარის, გადასახდელები 16845,4 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება - 2846,0 ათასი ლარის მოცულობით.

გეგმის შესრულების მაჩვენებლის ჩამონათვალი დანართის სახით თან ერთვის.

კომისიის წევრების მხრიდან მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

დაადგინეს:

კომისიამ მიიღო ცნობის სახით ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ ინფორმაცია.

/დანართი 2/

მოხმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წლის განმავლობაში გამოყოფილი თანხების შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით 2018 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა განხორციელდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვოს ფონდის გეგმიური მაჩვენებელი 90,0 ათას ლარს შეადგენდა. წლის განმავლობაში ფონდიდან გამოყოფილი თანხების მუხლით 20.9 ათასი ლარი მიიმართა, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 7.1 ათასი ლარი, ხოლო სხვა ხარჯების მუხლით 61.7 ათასი ლარი.

კომისიის წევრების მხრიდან მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

დაადგინეს:

კომისიამ მიიღო ცნობის სახით ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წლის განმავლობაში გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია.

/დანართი 3/

მოხმინეს :

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. შუამთაში მდებარე უძრავი ნივთის (ს.კ 31.03.30.416) ა(ა)იპ „საბავშო ბაღების გაერთიანება“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტით ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შუამთის ბაღის მშენებლობა დასრულდა, აღნიშნული შენობა, რომ გადაეცეს ა(ა)იპ „საბავშო ბაღების გაერთიანებას ამისთვის საჭირო არის თქვენი თანხმობა.

კომისიის წევრმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ საკითხს.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

დაადგინეს:

კომისიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. შუამთაში მდებარე უძრავი ნივთის (ს.კ 31.03.30.416) ა(ა)იპ „საბავშო ბაღების გაერთიანება“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტით ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

/დანართი 4/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიტორელიძემ (მომხსენებლის მამუკა ნამიჭივიშვილის საპატიო მიზეზის არ ყოფნის გამო) კომისიის წევრებს გააცნო .ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შესაბამისი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019 წელში ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სულ არის განსახორციელებელი 130 პროექტი, რომლის ჩამონათვალი ოქმს დანართის სახით თან ერთვის.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

დაადგინეს:

კომისიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა .ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შესაბამისი პროექტების დამტკიცების შესახებ.

/დანართი 5/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე